

კარი ერთოსტელი

კოლხეთი  
ფსალმენი

100-ტომეული




გამომცემლობა „კნივერსალი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწვრალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლება-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

# კუნძული ქართველი



## კოლეგი ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული  
100 ტობად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# კუკა ეჭილელი



კოლეური  
ფსალმუნები

ტომი 83

2020



მთ. რედაქტორი

**ალექსანდრე (საშა) არჩაია**

მათემატიკის მეცნიერებათა  
დოქტორი, საქართველოს  
მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა  
საერთაშორისო აკადემია  
„ქალდეა-საქართველო“-ს წევრი.

© ვაკა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „**ანისია**“, 2020

---

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოსიანის №4, ჟ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-890-8 (83 ტომი)



\* \* \*

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემული გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემლება „მოლოდინება“ გამოსცემა ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუტი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიდის არენიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმაცანის მედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის ოქროს ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრუბის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კონფერენციის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთ-სამცნეომრო კაპადემიის ვიცე-კონფერენციის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შალგუნების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისელის ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შალგუნების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდიანი, უბაღლეს კოლიბრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიზრულს გამოვიდა „კოლეჯი შალგუნების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისელის კლასისური კოექტის ათომობული, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კონსისტრი ერთ-ხეად აირჩია აგავე კადემიის 30ხვ-კარეზილენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შალგუნების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროგვესორი ვაჟა უბრისელი.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მოერალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბაბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი მვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





## პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხევი, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვებავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაბაღლა ვაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოენს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგარი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მთიული ხელმოწის, აიეტის ხელი დარბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპავე, კოემჭა იქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითურვლომელი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდონინდელი სამყაროს ოცდათოთხმეტე მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახვენდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავია.

100-ტომეული... ქვეყნის გარენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გველუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

### გულაზ ხარაიზვილი

კოემჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,  
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა  
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულიფიან შესვები ყოველ ძველს, ყოველ მაგიდას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მაგიერ

(გაგრძელება)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ყველაფერს ადამიანი თვალთა მზერით ამჩნევს და თავისებურად აღიქვამს. პოეტი დიდოსტატურად ამბობს:

„... დამის კაბაში, შენ ანთიხარ, როგორც  
კოცონი,

თვალს გვჭრის სინათლე,  
სილამაზე და სიდიადე“.

ადამიანი თვალის გარეშე ვერ დაინახავდა ვერც დამის კაბას, კოცონს და ვერც თვალისმოჭჭრელ სინათლეს, თვალი და აღქმა განუყოფელია.

თვალი ძალიან სათუთი ორგანოა მისი შემადგენელი ნაწილებით, როგორიცაა: წამწამოვანი კუნთი, თეთრი გარსი, ფერადი გარსი, რქოვანა, ბადურა ყვითელი ხალი, ბრმა ხალი, ბროლი, სისხლძაღვოვანი გარსი, მინისებური სხეული და მხედველობის ნერვი, როგორც პოეტის სურათიდან ჩანს, თვალის ყოველი ნაწილი და-



ძაბული აქვს. შეუიარაღებელი თვალითაც ადგილად შესამჩნევია მისი მიზანდასახული მზერა. ეს კი ადამიანის სხეულის უჯროვან აგებულებაზე უარყოფითად მოქმედებს, თუმცა პოეტი სიცოცოხლეს არ უფრთხილდება, ოდონდ დაინახოს თვალუწვდენელი სამყარო მშვიდ. ლამაზ ფორმებში. ალბათ ამ დროს პოეტის 300-გრამიანი გული ტუმბოსავით მუშაობს და სისხლს ძარღვებში უჩვეულო სიჩქარით გადაისვრის, თუმცა იგი ამას არ ნანობს, პოეტი გულის სიღრმიდან ამოფრქვეული სიტყვებით ამბობს:

„მამულის მტრებმა და უგნურებმა  
იცოდნენ კარგად,  
რომ ჩემს მკერდში გულის მაგიერ,  
ჩემს სამშობლოს სიყვარული  
რომ გუგუნებდა“.

ადამიანი არა მარტო ხედავს და აღიქვამს გარემომცველ სამყაროს, არამედ ახდენს მასზე ზემოქმედებას, ყოველ საგანთან და მოვლენასთან მას გარკვეული დამოკიდებულება აქვს. წიგნის კითხვისას, მუსიკის მოსმენისას, გაკვეთილის, ლექციის მოყოლისას, მეგობრებთან ურთიერთობისას, ადამიანები განიცდიან სიხარულს, სევდას,



აღფრთოვანებას, წყენას, რომლებიც მუდავნდება საკუთარ თავთან და გარემოსთან დამოკიდებულებაში. ვთარებიდან გამომდინარე პოეტი უშიშრად და მტკიცედ ამბობს:

„... მე პოეზიის თავსხმაში შეველ  
და ღმერთმა უწყის,  
გამოვალ როდის“.

შეიძლება პოეტის ნათქვამში ემოციურობაც იყოს, მაგრამ ემოციები მეტად რთული და მრავალგვარია, დიდი მეცნიერი პ. კ. ანოხინი წერდა: უემოციოდ ადამიანი რობოგს დაუმსგავსებოდაო.

ყველასათვის გასაგებია ისეთი გამოთქმები, როგორიცაა:

„შიშისგან ოფლმა დამასხა“, „ომა ყალყზე დამიდგა“, „ოიოქოს ჭიანჭველები დამდიან კანზე“, „გული შემეგუმშა“, ან „სიხარულისგან სუნთქვა შემეკრა“ და მრავალი სხვა. ყველა ადამიანი შეიძლება ჩავარდეს ასეთ განცდებში, მათ შორის, პოეტი, მწერალი და შემოქმედი.

მსახიობი — მიმიკით, უესტით, ინტონაციით არა მარტო ქმნის თავისი გმირის სახეს, ხასიათს და მაყურებლებამდე მიაქვს მისი შინაგანი სამყარო, არამედ „შედის როლში“ გარეგნული



ჰაბიტუსით. სურათზე ნათლად ჩანს, პოეტი შე-  
სულია როლში... რომელსაც განცდა ჰქვია. ეს  
კი შესამჩნევად გამოხატულია მთელს სახეზე.  
რა ვუწოდოთ ამ განცდას? განსაკუთრებულის  
მიგნება, წყენისა და დაბრკოლების გადალახვა  
თუ გულში სიყვარულის ჩასახვა რომელსაც,  
ასე გულდაგულ წლები ძერწავენ:

„ჩემთან მორბოდით...

და არ აცდენდით

კოცნა და ხვევნის ტკბილ გაპეტილებს,

და აი, ახლა,

კვლავ გიხსენებთ ყველა მემავეთ –

ზოგჯერ უხეშებს,

უზნეოებს,

მაგრამ კეთილებს,

და ლამაზ-ლამაზ მოგონებებს

წლები ძერწავენ“.

როგორც ვხედავთ, ლექსი „წლები ძერწა-  
ვენ“! წმინდა სიყვარულს არ გამოხატავს. პოე-  
ტის სიტყვებით, რომ ვთქვათ ეს წუთიერი სიყვა-  
რულის და უზნეობის ნიმუშია, რომელიც არავი-  
თარ განსაკუთრებულ კვალს არ ტოვებს გულის  
არც ერთ ნაწილში ადვილი მისახვედრია, ასეთ



„სიყვარულთან“ ურთიერთობისას პოეტს არ შე-  
ეძლო დამდგარიყო სიმღერის ხასიათზე...

„გინდ მებინოს მაინც სულში მიზიხარ,

თვალს ავახელ ზედ წამწამზე მიზიხარ“.

სიყვარულის ძლევამოსილება არ არსებობს  
თვალთა ხედვის გარეშე, თვალის გახელა სი-  
ცოცხლეა, სიყვარულია, როცა იგი აღიქვამს  
იმას, რაც მას სურს. ქალის სახე დვთავებად მო-  
ჩანს ვაჟა ეგრისელის პოეზიაში:

„ბნელში სხედან და გვითვალთვალებენ,

ხანდახან ნისლი ცრემლად ვბურვით

და ჩვენს ლოდინში

დამეს ათევენ...“

ვაჟა ეგრისელს სწამს რუსთველისეული,  
წმინდა სიყვარულის ... იგი როგორც მამაკაცი  
ამაყად ამბობს:

„შენი გულის პატარა ქოხში –

ნაკვერჩხალივით

სიყვარული –

დაიდებს ბინას“.

წმინდა სიყვარულისადმი პოეტის განწყობა  
სათაყვანოა და სანაქებო – მოისმა ხმა იდუმალი  
და მანვე განაგრძო მაჲათმა განდისეულად –



ღმერთის სიყვარულია. ეს ერთადერთი ჭეშმარიტებაა, რომელსაც სავსებით ვაღიარებ. სიყვარული ღმერთის ტოლია. თუ მოწინააღმდეგეს შეკრები – იგი სიყვარულით დაამარცხე. სიყვარული არასდროს არაფერს ითხოვს, იგი გასცემს. სიყვარული იტანჯება, ამის გამო არასდროს ინახო და შეურაცხოფას ნუ შეეცდები. იგი დარწმუნებულია, რომ სამყარო სიყვარულზეა დაფუძნებული. სიცოცხლე მხოლოდ იქაა, სადაც სიყვარულია, უსიყვარულო სიცოცხლე – სიკვდილია. სიყვარული და ჭეშმარიტება – ერთი მედლის ორი მხარეა.

სანამ ადამიანი გრძნობს, რომ ვიღაცაზე მაღლა ან დაბლა დგას ჭეშმარიტ თანასწორობას ვერასდროს მივაღწევთ.

სამყარო საკმაოდ დიდია იმისთვის, რომ ნებისმიერი ადამიანის დაკმაყოფილება შეძლოს, მაგრამ მეტისმეტად მცირეა ადამიანთა სიხარბის დასაკმაყოფილებლად. სიძულვილი ყოველივეს კლავს. სიყვარული კი აცოცხლებს, არასოდეს კვდება. ასეთია, ამ ორ გრძნობას შორის არსებული უდიდესი სხვაობა. ის, რაც სიყვარულმა მოიმკა, საუკუნეთა მანძილზე შეინახება, ხოლო რაც სიძულვილმა – მძიმე ტვირთად იქ-



ცევა, რადგან სიძულვილს მხოლოდ სიძულვილის დათესვა ძალუქს, ყოველი ადამიანის მიზანია ამოძირკვის სიძულვილი და დათესოს სიყვარული, მაგრამ ამას ყველაფერს, სწორი აღქმა სჭირდება.

— ბრავო! თქვა პოეტმა და ტაში შემოჰკრა. მოვიხიბლე თქვენი საუბრით, მაგრამ ცხვორებაში ასე რომ არ ხდება?

— მართალი ხართ, საუბედუროდ ხშირად ასე არ ხდება, მაგრამ შენ უნდა იყო ასეთი — პოეტს, ქრისტიანს, სხვა გზა არა აქვს. სევდიანი რომ იყურები მიწის წიადისქენ — განიტვირთვ, დაძაბული ძარღვი სხეულისა განმუხტე — გაიღიმე, გონება და თვალი დაძაბულობით არ დაღალო. აპატიე ყოველივე შენი ნიჭის მოშურნეთ. ისინი სიყვარულით დაამარცხე — დაარიგეს ვარსკვლავეთიდან.

— თვალი დაძაბულობისგან იხსენი... განთავისუფლდი... კარგია კარგი, მაგრამ უფრო კარგია —

„სამშობლოსთვის როდესაც კვდები,

სიკვდილს მაშინ აქვს ფასი“

ფასი... ჩაილაპარაკა ჩუმად თავისთვის. ფა-



სი რომ ყველაფერს აქვს ცხოვრებაში, თუმცა  
შეფასება თვალებითაც ხდება, გაიფიქრა და  
უმალ სტრიქონებად იქცა:

„მე და შენ ერთმანეთს დავეძებთ თვალებით,  
ყელმოღერებულნი,  
ვითარცა გედები,  
თუმცა სიყვარულის მხრებს გვაწევს სიმძიმე,  
ფიქრით დაღლილები,  
მწუხარზე მიევდგებით  
და ერთმანეთის თვალებში ვიძინებით“...

თვალებით ერთმანეთის ძებნა, ერთმანეთის  
თვალებში ძილი ეს ბედნიერებაა, მაგრამ ცხოვ-  
რებაში თვალიც ბევრჯერ ტყუკდება და რაღა-  
ცის შენეული აღქმაც ცრუკდება – იყო თქმული  
თეთრი ლრუბლებიდან. თუმცა, ყოველი სიტუა-  
ციიდან არის გამოსავალი. ერთ დიდ პიროვნე-  
ბას უთქვამს: არ არსებობს ისეთი ციხესიმაგრე,  
რომლის აღება არ შეიძლებოდეს. მეც შემიძ-  
ლია ავიყვანო ჩემი თავი, ჩემი თვალთახედვით  
მიწის წიაღიდან ამოვილო, ის რაც ჩემი აზროვ-  
ნებისა და სიტყვიერი გამოხატვის პროცესთანაა  
დაკავშირებული. ადამიანი რა სპეციალობისაც  
უნდა იყოს. როდესაც იგი სათქმელის ფორმირე-



ბას ახდენს, ან ქვევით იყურება ან განზე. ასე ხდება, მაშინ თუ მნიშვნელოვანი რა არის სათქმელი. აზრსაც სათანადოდ შემზადებული სიტყვები სჭირდება გადმოსაცემად. ასე იქცევიან ორატორები, რომელთა აზროვნების პროცესი აუდიტორიის წინაშე მიმდინარეობს. ასეთი ჩვევა ჰქონდა გამოჩენილ ქართველ ფილოსოფოსსა და ორატორს შალვა ნუცუბიძეს. იგი, განზე იდუმალ სივრცეს ჭვრეტდა და როცა აზრის შესაბამის სიტყვებს „მიაგნებდა“, მხოლოდ მაშინ მოწყვეტდა თვალს „სივრცეს“ და ამყარებდა კონტაქტს მესმენელთან – ხედავდა „მას“.

თვალის მეშვეობით გადაეცემა ზუსტი სიგნალი პიროვნების მდგომარეობის შესახებ, რადგან იმპულსი, რომელიც ავიწროებს ან აფართოებს გუგებს, არავით ცნობიერ კონტაქტს ცხოვრებაში? პკითხა იდუმალმა ხმამ.

— დამორჩიელბა ჩემთვის უცხოა, — მტკიცედ თქვა პოეტმა.

— შეიძლება ეს კარგიც იყოს და ზოგ შემთხვევაში ცუდიც.

— გეთანხმებით, მაგრამ...

„გამოსავალი ორიდან



ერთია —

ან „უნდა ამაღლდე

ან „უნდა დაეცე“.

— ნამდვილად ამაღლებისათვის ვიბრძვი და  
სწორედ ხსნის საიდუმლოს მიწის წიაღში ვეძებ,  
ჩემს პოეზიასთან ერთად. იქ სიწმინდე მეგულე-  
ბა, რადგან იქიდან შთაგონებისა და უკვდავების  
წყალი მოედინება, და იგი ისეთივე მკურნალია,  
როგორც პოეზია — ადამიანის სულისა.

ვამბობთ და გვჯერა, რომ სახის მეტყველე-  
ბის არსენალში წამყვანი ადგილი უჭირავს ოვა-  
ლებს, მაგრამ სახის სხვა ნაკვთებიდან ყურად-  
ღების ღირსია ტუჩები, შუბლი, ცხვირი, ნიკაპი,  
რაც ერთობლიობაში სახის კონფიგურაციას  
ქმნის, კარგი, მაგრამ ამასაც აღქმა სჭირდება,  
სახის ერთი ნაკვთი დაძაბულია, სხვა კი ისვე-  
ნებს, მაგრამ შენში ყველა ერთად იმზერება  
სიღრმისეულ სამყაროში, ძიებაშია. მფარველს  
ეძებს, განცდებშია თუ შემოქმედებით წვაში? —  
შეეკითხნებ ვარსკვლავეთიდან.

პოეტმა კი ასე უპასუხა:

„დანამდვილებით მე ვიცი ერთი

და მჯერა მტკიცედ,



რომ ქეყნად ჩემი მფარველი ღმერთი,  
დრო, პოეზია და არის სივრცე,  
სხვა არაფერი“.

— დრო, პოეზია, ადქმა და სივრცე — ეს  
მოქლი სიცოცხლეა, მაგრამ ნებისმიერი ადამია-  
ნის თვალებს საკუთარი „ლექსიკა“ გააჩნია და  
„ფრაზებს“ თავისებურად გადმოსცემენ, ფსიქო-  
ლოგთა აზრით პირდაპირი შეხედვა სიწრფე-  
ლის, პატივისცემისა და გულისყურის ნიშანია.  
თუ პარტნიორები ერთმანეთს ალალად შეჰვერე-  
ბენ, მაშასადამე, თავს თანასწორუფლებიანად  
გრძნობენ. მზერას ძლიერი ფსიქოლოგიური გავ-  
ლენის მოხდენაც შეუძლია. ხშირად გაიგონებთ  
— ამ ადამიანს ურცხვი მომნუსხველი მზერა აქ-  
ვსო, თან დასძენენ: მისი სახის ყველა ნაკვთი  
ემოციას უფრო აძლიერებსო, ან კიდევ მოჭუტუ-  
ლი თვალებით მზირალი ადამიანი თქვენს სულ-  
ში ცდილობსო ქექვას. რას იტყოდით თქვენს  
მზერაზე — დაინტერესდენენ ვარსკვლავეთიდან.

— პოეტი მცირე ხნით ჩაფიქრდა, შემდეგ  
ლიმილით უპასუხა:

„ჩემი თვალებიდან ამოდიან განთიადები“ —  
და განაგრძო: — თვალთა მზერა გარდა



თქვენ მიერ აღნიშნულისა. არის ქურდული, ირიბი, ალმაცერი, მაგრამ ვისაც მზიანი გამოხედვა აქვს, ასევე სანდო, სულიერად მდიდარი და გულდიაა. ჩემი სულის უმცირესი მოძრაობაც კი სახეზე პოულობს ანარეკლს. თვალების მიხედვით იოლია იმის დადგენა, თუ რაზე ფიქრობს იგი, რა ახერხებს, ან რა სწყინს, ან რას ეძებს. მე ხშირად ვამბობ:

„თვალებში ქართვლის წარსულს ჩავცქერი,  
მესმის ყიუინა,  
გმინვა, გნიასი,  
ვით საზღაურის მტრისთვის  
მიგება“.

პოეტის სახეზე, მის მზერაში, თუნდაც იმ სევდიან თუ მკაცრ გამოხევაში, გამოხატულია მიგნება იმ აზრისა, რომ ანდერძი ქართველი ერის წინაშე ასე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფეს. იგი იხსენებს:

„... დიდგორის მკერდზე სისხლთა მთხეველი,  
ქართველები კვლავ დგანან პირველნი,  
და საქართველო  
მათი წმინდა საკურთხეველი,  
სავსეა თავით შესაწირველით...



მაღალი მოები დგანან უძრავად,

ღამით ტანჯული მოლოდინი

წამებს დაითვლის.

და... აკა ბეჭედში, ქართვლის

მტერთა შესამუსრავად,

მოდის სიკვდილი! – მეფე დავითი.“

შეიძლება პოეტი თვალს იმიტომაც, არ  
აშორებს მიწის სიდრმისელ სამყაროს რომ 21-ე  
საუკუნეში, რადაც ახალი უნდა აღიქვას.

„... მე ამოვდივარ მიწიდან

და სიმყუდროვიდან“...

პოეტს სწამს და იმედის თვალით უყურებს  
გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე. ტყეებსა და  
მდინარეებში, ბაღებსა და პარკებში როგორ ამო-  
დის და ყვავის მრავალნაირი მცენარე, ან ფანტას-  
ტიკურად შეიძლება სწამდეს, მცენარეებთან ერ-  
თად ახალი, უკეთესი ცხოვრების ამოსვლა. მას,  
როგორც პოეტს, ენატრება ბარათაშვილის ახლად  
აბიბინებული „ლბილი მდელო“. დიდი მზრუნვე-  
ლობით ეფერება მიწიდან ახალ ამოსულ ენძე-  
ლას, ცხენისკბილას, თეთრყვავილას, ყოჩივარდას,  
იაჟუჟუნას, ტიტას და ნარგიზს.

იგი სიხარულით ამბობს „ბაღში კვირტების



დგას ჟრიამული...“ და ეს ჟრიამული მას აგონებს დიდი ილიას სიტყვებს:

„ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი

გამაგონე ჩემს მამულში“.

— მამულში ტკბილი ხმის გაგონებას ნუ ჩქარობთ. უცაბედად აღარ მოვა, დროა საჭირო ჩაესმა ზეციდან.

— მე არსად მივეჩქარები, მხოლოდ დრო მაჩქარებს, მაგრამ დროს მხოლოდ სიყვარულით უნდა დაგვატკბოს და შიში სიკვდილისა სიცოცხლემ უნდა გვასწავლოს, ყველას საამური ცხოვრება ენატრება. ფოთლებიც ხომ ადამიანებივით ერთმანეთის ჩრდილში ცხოვრობენ და განსაზღვრული დროის შემდეგ კვდებიან. განა ასე არ ხდება ადამიანებშიც, სიკვდილი არ აცდება, მისი სული სხვა სამყაროში გადადის, ხოლო აქ სახელსა და დიდებას ტოვებს.

— ნუთუ თქვენი გამჭოლი მზერა მიწის სიღრმისეულ სამყაროში დიდებით მოსილი ადამიანებისკენ არის მიმართული — არ ისვენებდნენ ვარსკვლავები.

— გულზე მალამოდ მეფინება შარავანდევ-დით მოსილი ადამიანების გახსენება:



„გინც მამულს თავი ანაცვალა  
ყველა გმირია  
და უპვდავება თავზე დანათის...  
გახტანგი, დავით,  
ქეთევანი,  
ცოტნე,  
მირიან,  
შალვა,  
ელიზბარ,  
ნინო,  
ერეკლე, –

სამარადისოდ როგორც ცხრამნათი,  
საქართველოს ცის სარკეში აირეკლნენ.“  
– კიდევ რას ეძებენ წიაღში? – გადმოსძახეს მთებმა კოლხეთიდან, რომლებიც თურმე ყურს უგდებნდნე პოეიტსა და ვარსკვლავების საუბარს.

პოეტმა თავისებურად ჩაიღიმა, სანთელი აანთო, ილოცა აიეტის, ცოდნე დადიანის, მეფე გუბაზის ზღაპრულ კოლხეთზე და მერე დაიწყო – ჩვენ გვაჩუქა ღმერთმა და დაგვილოცა ედემის ბაღი, ეს ზღვა, ეს ცა, „მრავალუამიერი“, „ოდოია“, „გუჩხი ბედინერი“, „ჭიჭე ტურა“. ეს არაფე-



რი არ დაკარგულა, ერმა შემოინახა, მაგრამ  
მათ სცივათ... უფრო მეტი სითბო და ყურადღება  
სჭირდებათ, როგორც ეროვნულ განძს. ამიტომ  
ვფიქრობ...

„ვნახოთ, ო,

ვნახოთ,

სად მიგვიყვანს

გზა –

არჩეული,

ჩემო მებრძოლო, სულისკვეთებავ!“

არც ასე ადვილია იყო პოეტი მებრძოლი  
სულისკვეთებით და აღიქვა რაც ხდება შენს  
გარშემო. თქვენი თვალთა მზერა ლუპასა ჰგავს,  
რომლის საშუალებით კარგად მოჩანს ლეროს  
ჩანასახი, რომელიც კვირტის ცენტრშია მოთავ-  
სებული. კვირტი ჩანასახოვანი ყლორტია. თქვენ  
მაგარი ყლორტი ჩანხართ, რომელსაც ქარი ვერ  
ჩამოაგდებს. ახმაურდა გრიგალი – და გადასძა-  
ხა ვარსკვლავეთს.

– ეი, თქვენ, ვარსკვლავებო, ხედავთ კოლ-  
ხეთს – საქართველოს ულამაზეს კუთხეს, რო-  
გორი სულით მებრძოლი შვილი გაუზრდია.

– ამის გაგონებაზე, დასტურის ნიშნად,



თვალისმომჭრელად აციმციმდნენ ვარსკვლავები, პოეტი კი ჯერ დადუმდა, შემდეგ კი ელვის სისწრაფით ვარსკვლავეთში აიჭრა, იქიდან გადმოხედა არა მარტო თავის სამშობლოს, არამედ მოელს დედამიწას.

„თავზე ახურავთ თეთრი თავშალი  
ფიფქებს და ვითარც ანგელოზები,  
ფრთების ფათქუნით ჩამოდიან  
დედამიწაზე,  
რომ ცოდვა-ბრალის კვალი  
წაშალონ“.

— ვერ წაშლიან ვერა, ბოროტ ადამიანთა  
ნამოქმედარს — დაიგრგვინა ცამ.

**ტატა ღიოსპურელი**  
**ნაწყვეტი წიგნიდან — აღქმა ანუ**  
**ხაოცრებათა სამყაროში**

გაგრძელება შემდეგ ტომში



## მთვარე

მარტოსული არის მთვარე,  
მას მზის გარდა  
არ ჰყავს მოძმე,  
თუმც ვარსკვლავთა სანთლებსს უნთებს  
ღამდამობით ღმერთკაცს ოდოს.  
და თუ ზოგჯერ  
ტანზე იცვამს  
ღრუბლის ძონძებს,  
ეს იმიტომ,  
მზეს თავი რომ შეაცოდოს!

1979

\* \* \*

არავითარი სხვა შემოქმედი,

ქარი,

ქარიშხალს თვითონ

იგონებს

და თვალები აქვს ვით მუგუზალი.

ხლობა,

როცა ქარის ხმას

გაიგონებს,

ხმელეთს მუქარის –

თოლიების მოქათქათე

წერილს უგზავნის.

1969



## მა, მაშინ მოგალ!

როს წუთისოფლის

მეჭირსუფლების,  
მიწყდება ჩუმი მოთქმა და  
გლოვა.

როცა სოფლიდან იქედნენი,

მრუშნი,  
ძენწები,

სულერთიანად გაიძურწება...

გე,  
მაშინ მოგალ!

2017



## მელანგოლია

დვთის ტაძრის კარზე ურწმუნოთა  
ისმის კაკუნი,  
რწმენის კერია თითქოს  
გაცივდა.

იესო ქრისტე ჯვარზე ისევ არის გაქრული,  
გარდმოუქსნია  
ის არავის  
მძიმე ჯვარცმიდან.

1964



## ისევ ცოლის მთა

გადაპორია თვალზე ბინდი  
და არაგვის უსმენს  
ბორგვას....  
აღარც შვილი....  
აღარც ცოლი!  
ელის გველისმჭმელ მინდის,  
ნისლში რომ დგას –  
ის მთა ცროლის.

1961



## ირმის თანავარსკვლავები

ხმა უწვდინე გალაქტიობებს,  
არ ეგონათ,  
ზღვარს თუ გადაამეტებდი....  
(რას ემდური,  
ბედს რას ერჩი?!)  
მოვლილი გაქვს პლანეტები  
ბინა გიდევს –  
ირმის თანავარსკვლავებში.

1973



## დამოკლე

მოსვლისთანავე ჩვენს თავზე  
მახვილს,

რომ კიდებს ჩუმად ის  
დამოკლეა!\*

ჩვენ არც ფარი გვაქს და აღარც  
თორი.

და არგინ უწყის თუ რა მოკლეა  
გზა, –  
ყოფნასა და არყოფნას  
შორის!

---

\* დამოკლეს მახვილი – ითქმის მუმდივ საფრთხეზე,  
ბერძნული თქმულების მიხედვით სირაკუზელმა ტირანმა  
დიოსისოსმა ერთ-ერთი ნადიმის დროს თავისი ადგილი  
დაუთმო თავის მოშურნე დამოკლეს და მის თავზე ძეით  
დაკიდა მახვილი.



## მა გარ პრომეთეონის

ვუყვარგარ და...

სიცოცხლე,

სიკვდილს ვეღარ იმეტებს!

როგორც ნათელს ეოსი,\*

თუმც იცის,

ვით ეპიმეთე,

მმა ვარ პრომეთეონის.

1922

---

\* ეოსი (ბერძ.) – გარიურაჟის ლვთაება.



## 0სეპ ორიენტი

დროს ელოდები....

ალბათ იგი მაღე

„მოალის“

და მეცხრე ცაზე –

სადაც სუფევენ

დმერთთა-დმერთები,

შენ შეგიძლია და ხარ მოვალე,

ვით ზღვას მდინარე,

მათ სუფევას –

თუ შეერთვები.

2019



## მეორ ადამის

მზის კოცონზე ვართ მიფიცხებულნი,  
დღეები იწვის,  
ვით ბურბუშელა.  
ჩვენ კი არ გვიშვებს ყოფნის  
ქანჩები!  
ადამი ძეო!

სულ ტყუილად  
ნუ იქაჩები!  
ვედარ აიშვები!  
თუ სიკედილმა  
ადარ გიშველა!

2019



## აპოპრიფული

არა „საღმრთო წერილიდან“

და არც ღვთიურ ბიბლიიდან,

არამედ ცის კაბადონზე

ნაწერს მნათთა ასოებით,

მერე მოგვთა „ამოკრიფულს“

ათასწლეულების შემდეგ,

ჩხიბავ კოლხურ –

აპოკრიფულს.\*

1963

---

\* აპოკრიფი (ბერძნ.) – სააიდუმლო, დაფარული.



## ხილული, შხელავი

დღეები ცისქვეშ მუდამ ფხიზლობენ,  
 დამეები კი ტკბილი ძილით  
 სიკვდილს გვაჩვევენ.  
 დმერთების რისხვა კვლავ ჩამოდის  
 ციდან ქუხილად.  
 ადამის მოდგმა –  
 დღიდან გაჩენის,  
 ხილულს კი არა,  
 უფრო მეტად,  
 ეტრფის უხილავს.

1969



## მითოდათე მკატორი

სახელიც მტერს თავზარსცემდა,  
ძველ კოლხეთის უსამანო  
ცისა და ზღვის  
მეპატრონის:  
მითოდატე პონტოელის,  
მითოდატე –  
ევპატორის.

1967



## აპოთეოზი

რა არის ღამე,

ქოფაკ ძაღლივით,

ფერად სიზმრებში ძინავს

თეოზე.

შენ კი არგძინავს,

ელვის აღვირით,

მიგყავს დღეები ბრძოლით დაღლილი,

ოლიმპოს მთაზე –

აპოთეოზის.\*

2019

---

\* აპოთეოზი (ბერძ.) – გაღმერთება, გაფეხტიშება.



## პოლიტიკური

უწინეს აღდგომის კუნძულს,  
საითაც ქროდა არავი.\*  
მერე კოლხებმა შავი ზღვის  
კარად კვლავ დასცეს კარავი.  
არ ვამბობ ნიშნის  
მიგებით:  
სკვითები?!  
ვინ ვიკინგები!  
კოლხები იყვნენ პირველი  
მებრძოლი ამ ცისქვეშეთში,  
და... სხვაგან არსად, არავინ.

1963

---

\* არავი — სამხრეთის ქარი.

## ଶାତିଲ୍ଲଙ୍କ

ଯିନ୍ଦଗାଦ ରା ସିଦ୍ଧିଗୋକୁଳ  
 ଉଦ୍‌ଦେଖିବାରେ ମହେବୀ ରାଜ୍ୟରେ,  
 ମାଧ୍ୟମ ଶେନ୍ଦର ମିଶ୍ରଗାଲି  
 ଅରା ଶାରୀଲି,  
 ଏଣୁ ମୃତ୍ୟୁ  
 କାଳାବ୍ଦ ଶେନ୍ଦର ପୁଲି  
 ଯିନ୍ଦବଦୀ ରାଜ୍ୟରେ,  
 ଜନମଦିନ ଶେନ୍ଦର –  
 ଆଶ୍ରମପୁଲିଗାନ୍ତିରି

1958



## ბავშვები

რადგან მოფრინდნენ  
ანგელოზებად,  
ბავშვები ქვეყნად უნდა მღეროდნენ...  
მე კი ორზე მეტ  
ათასწლეულის,  
იქიდან მათი მესმის ტირილი.

რადგან სიზმრებში ელანდებათ  
მეცე პეროდე!

1974



## ვარსი

ქვეყნად ყოფნაც  
და არ ყოფნაც,  
ყველაფერი არის ფარსი,  
გარდა მუხის ოთხი ფიცრის,  
შეშამ არა,  
ფერფლმა იცის,  
ამირანის ცეცხლის ფასი.

2001



## შრომუნო

გარსკვლავებად წვეთავს  
ციდან –  
დილის ნამი...  
და სიცოცხლედ ვუხმობთ  
ყოფნასა და არყოფნის  
მარადიულ დავას...  
ურწმუნო ჰგავს დამეს,  
სიძნელეში მავალს.

2019



## ქრისტე და იაკობი

რწმენიანთ და ურწმუნოთაც  
მზერა გაურბიან ცისკენ,  
სად მზე ნათელს –  
მიაფენს.  
ქალდეველი იყო ქრისტე,  
ისე,  
როგორც იაკობი.

1960



## აპრამიები და აპრამიშვილები

კლდეს მიჯაჭვულ ამირანის  
მკერდზე ნისკარტს  
ილესავდა  
ორბი....

მაშინ პონტოს პირას,  
მტერი ბრძოლით გადარიეს,  
ზღვა მათ გლოვობს  
და იგონებს:  
კოლხ-აბრამის შვილებსა და,  
მათ ნაშიერ აბრამიებს.

1966



## ჩემი ბაზი

ეს ჩემი ბაზი ახლა ზღვას ჰგავს  
 ქარში გაფრენილს,  
 და ტყემლები და  
 ალუჩები,  
 თითქოს და ლაზი  
 წინაპრების  
 არის აფრები.

1959



ჰავაის – გუმბათი,  
ანდების – ქვედები

შენი დღე ადრე თენდება  
და მერე გვიან დამდება,  
შიგან კი მუდამ ომია,  
ისმის: „გაჲმე!“ და  
„აგაი!“

და...

შენი „ფსალმუნები“ კი:  
ქედები – არის ანდების,  
კუნძულებია – ჰავაის.

1982



**მარიამ ლიტოსმშობელი,  
ნინო გაბადოპილი**

იესოს ჯვარზეცმის ამბავი,  
 რომ ემცნო ბეთლემს  
 და ნაზარიეთს,  
 სოფელი და დაბა მორკიეს,\*  
 მას შემდეგ ისინი შიშობენ:  
 კოლხ –  
 ნინო კაბადოკიელს,  
 ქალდაველ –  
 მარიამ ლიტოსმშობელს.

1963

---

\* მორკიეს (მეგრ.) – მიმოიკვლეს.




## პილიგრიმი\*

გათრობდა უცხო სურნელი  
ვაჟას „იის“ და  
„ყოილის“.  
უფლის ხენებას ვედარ ბედავდი,  
წყალს დალევდი და  
ფრინველივით ცას  
ახედავდი,  
არ ამქვეყნიურ ქარს – აყოლილი.

2019

---

\* პილიგრიმი (რუს. иль.) – მიმღოცებელი, მწირი, ყარიბი.



## 0 ყივჭე და გაათენე

ხობი,

ხორგა,

ხეთა,

ბია,

იყო შენი ბაბილონი და ათენი.

და შენ კოლხურ მამალივით,

პოეზიის მაღალ ღობეს –

თავმომწონედ შეახტი და...

იყივჭე და...

გაათენე!

1999



## სიზარი, ური

ბოწყინტებზე შემომდგარი

ოდა,

ეზო და ყებური.

ბაღში შაშვის გალობა და,

წია-წია მოლალურის,

ადათ-წესი ყოველივე:

სოფლ-ური

და ქალაქ-ური,

კოლხო! მითხარ, რად გახსენებს  
სიფარსა<sup>1</sup> და ქალაქ ურის<sup>2</sup>.

1971

---

<sup>1,2</sup> სიფარი, ური – კოლხთა (ქართველთა) შორელი  
წინაპრები (შუმერთა) ქალაქები.



## მეზე გიორგი

რა ექნა მეფე გიორგის,  
 თუ ურჩი ერისთავები  
 ატეხდნენ დავიდარაბას,  
 და მცხეთას მოასკდებოდნენ  
 აბობოქრებულ არაგვად,  
 ციხე-ტაძრებს და  
 მონასტრებს –  
 ულეწდნენ კარს და დარაბას  
 და ცეცხლის ალში ახვევდნენ,  
 ვით მონგოლი და  
 არაბი!

1971



## რამზეს II-ის ხომალდების მოლადება შაგ ზღვაზე

ათასწლეულების იქით —

ახლოს იყო ყოველივე,

მაგრამ ახლა არის შორი,

ვით მანძილი ხომლამდე...

და...

მაინც ეს თოლიები,

აღარ ვიცი რად მაგონებს,

რამზეს მეფის —

იალქნიან ხომალდებს.

1979



## ბაზედილს და მუპოტახილს

კლავდინენ,

მაგრამ სამეგრელოს,

ვერ ატანდა გულში ტყვია!

აკავებდნენ ვერც აღვირით და ვერც

არტახით.

მით უხმობენ გზა-ბილიკებს

მუდამ მტრიანს –

გოჭკადილს<sup>1</sup> და მუქოტახილს<sup>2</sup>.

1962

---

<sup>1</sup> გოჭკადილი (მეგრ.) – გაჭედილი

<sup>2</sup> მუქოტახილი (მეგრ.) – მომტვრეული



## ოდისევი და ტელემაჟე

ოდისევი სულ სხვა იყო,  
ხმალს არასდროს აშიებდა,  
მისი ხათრით –  
მერე აქებ! –  
ერთადერთი ნაშიერი –  
ახალგაზრდა  
ტელემაჟე.

1969



## ଅତୀକାଳ ଏବଂ ଅନୁମତିକାଳୀକାଳ

ମନାତତା ସିନାତଲୀତ ଅଧିକାରୀଙ୍କୁ,  
ଅଗ୍ରାନ୍ତେ ଥେବା  
ମଧ୍ୟରେ ପାର୍ଶ୍ଵ,  
ସାଫାର୍ଯ୍ୟ ମେଘରୁଦ୍ଧିରେ ଜାରି ଆଶାରି.  
ତରୁଷିତ ରୂପ  
ଅଧିକାରୀଙ୍କ ମହିମା ରୂପ  
ମଧ୍ୟରେ ପାର୍ଶ୍ଵ,  
ମାଘରାତି ଆରାଶ୍ୱରରେ ସିଦ୍ଧରୁକ୍ଷେତ୍ର  
ମର୍ମରୀତି ଗାଢାଲାନ୍ଧ.


2010



## 300 ისაბი და აპრამი

ოცი საუკუნის მერეც,  
ზოგ-ზოგები  
ურწმუნოა  
იმ ძველ გზებსა თუ ბილიკს მისდევს...  
ვით ისაკი და აბრამი.  
ალბათ რწმენამ დააბრმავა!!!  
ვაჟ!  
თუ ისევ ჯვარზე აცვან  
წვენი მაცხოვარი ქრისტე.

1966



## ძალა

„სიტყვის ძალა მდგომარეობს  
ცოტა სიტყვებით ბეჭრის გამოთქმაში“.

პლუტარქე

სანამ ქარი არყოფნის,  
ყოფნის ზღვიდან აიშვებს,  
მანამ შენ,  
გით პლუტარქე,  
ფულით არა,  
აზრებით,  
ტენი მთვარის ბალიშებს,  
და ვარსკვლავთა  
მუთაქებს.

1992

## მრევლი

მირიად მნათით ცას დასახლებულს,  
დღისით და ღამით,  
ყველგან და  
მუდამ,  
მთვარე ჰკიდია, ვითარცა ცრემლი.  
ქრისტეს,  
მუპამედს,  
შიგას და  
ბუდას,  
ყველას ჰყავს თავის  
ერთგული მრევლი.

1969



## ზეთა, ხამისძღვი

გარსკვლავების ჩურჩულს ისმენს  
მთვარე –  
კოლხურ დამის ყური,  
რომ ხეთა და ხამისკური<sup>1</sup>,  
ნაშთებია ძველ ხეთების,  
ძველი ერედუს<sup>2</sup>  
და ურის<sup>3</sup>.  
ჩვენებური...  
ძველებური...

1964

<sup>1</sup> – ხეთა, ხამისკური – სოფლებია ხობის რაიონში.

<sup>2,3</sup> – ერედუ, ური – კოლხთა (ქართველთა) შორეული წინაპრების – შუმერთა ქალაქები.



## პეისარს პეისრისა

უწილადე!

ცოტა სხვებსაც

მიეც ზღვები,

გულს არ მოხდეს ბრკე ისრისა.

ეგრისელო!

ყველას თავის მიეზღვება,

პეისარს კი

პეისრისა.

2019



## 0183 შიგნი „იქმან ნათელი!“\*

ლევენდებით,  
 მითებით,  
 სავსე შენს წიგნს ადრიან,  
 ნოეს ზღაპრულ კიდობანს,  
 რომელიც,  
 რომ გაუძლებს –  
 ბევრ „წყალ-ღვრნას“...  
 წყალ-დიდობაას!..

1993

---

\* 1993 წელს გამოვიდა პოეტის 1000 გვერდიანი 2000-მდე  
 ლექსის მომცველი ერთტომეული – „იქმნ ნათელი“  
 (რედაქტორი შოთა ნიშნიანიერი).



## მაჟმალია

ოქროდნაჭედი ცაა —

გალია

და ვარსკვლავების არის

მრავლობა...

მიმწუხერის ტოტზე ზის

მაფშალია,

და გალობს....

გალობს. აქ არყოფნის

გარდუვალობას.

1966



60

აბე,

სამოცსაც მიუკაჯუნე,  
გპლავს,  
ფუჭ- დღეებზე თვალის  
შევლება!

თუმც პოეზიის ჯვარზე იყავ  
მუდამ გაკრული!

აწ აღარ იცი,

ვინ ჩამოგხსნის,  
რა გეშევლება!!!

1999



\* \* \*

ცისკარივით ნათელია,  
არცა მითია,  
არც არაკი,  
ისევ ზიხარ, არგოსავით  
ცხვირაწეულ  
მთვარის ნავში,  
ვითა ვაჟა ლაპარაკობ  
და ამყარებ დმერთთან  
კავშირს.

1968



## კეპლა

ჯერ ადარ წასულა ცაში,  
წუხელ სამარეში იწვა!  
აგე,  
ის ლამაზი პეპელა,  
საფლავს რომ დაფარფატებს,  
იმ პატარა ანგელოზის  
სულია, —  
გუშინ რომ მიაბარეს  
მიწას.

1965



## მზე და მთვარე

ქარსა და ქარიშხალს  
არ უჩანს საშველი,  
და დამის მძვინვარ  
ოკეანეში,  
ერთია საჩინო:  
მთვარე თითქოს და  
რგოლია მაშველი,  
რომელმაც აღსავლით მავალი,  
მზე უნდა გადაარჩინოს.

2019



\* \* \*

ჭიას ფეხს აღარ დააბიჯებდა  
და ყოველივე კარგის  
მცდელობით,  
თავს კრძალვით ჰყოფდა  
მადლის ფანჯრიდან,  
რადგან იცოდა ვიღაც დასჯიდა,  
გამოისობით უცოდველობის!!!

2019



## სამოთხე

სიცოცხლე კი ცაში მიღის...

ცხოვრებაა —

თარაზული,

სამოთხეში ვედარ შეხვალ,

არის შემოხლა

და შეხლა,

კარებია ჩარაზული.

2019



## ომი

ამირანივით ერბრძვი ყვავ-ყორნებს  
და იგერიებ დღეთა  
არწივებს –  
დვიძლის საკორტნად ომს  
რომ გიჩაღებს!

და...

თუ სიკვდილი შეგეფეთა,  
როგორც ყივჩადი,  
ქვეყნად არავის გაუნაწილებ.

1979



## ოპერა

ცა ვარსვლავებით გადახურული, —  
პირველყოფილი არის  
ოპერა,  
საიდანაც ხმა ისმის, „ჩაკრულოს“.  
და მის კედელზე,  
როგორც აფიშა,  
ახალი მთვარე —  
არის გაკრული.

1967



## საწუთო

ათადან და ბაბადან,  
ასე არის საწუთო,  
სანამ მოვა მოხვია,\*  
მანამ უნდა სამყაროს,  
ხელი უნდა –  
მოხვიო,  
უნდა დაისაკუთრო!

1971

---


\* მოხვია (მგზ.) – მერქები, თავდასხმა, წყალ-დვრნა.



## ოდიშში

პელიოდის ოქროს ხელით  
უხვად მაღვრის მზე  
მარმაშებს  
და ვისვენებ ჩემს ოდიშში.  
თუმც მარცხენა თვალი  
ცუდად მითამაშებს  
და ვარ ავის მოლოდინში!!!

1991



## ବୋଲି କେତେମାରୀ

ମଧ୍ୟରୀଏ,

ତାନାବୁ ମିଠିଲାଗ୍ରେହି,

ଶରୀରସ୍,

ଦର୍ଶକେଣ୍ଟି ହିନ୍ଦା ଆଲିନ୍ଦାଦ,

ମତଗାର୍ଜ ନ୍ୟାଯ ବୋଲି କେତେମାରୀ –

ଫତ ମାସ ରାତରାବୁ

ଓଦ୍‌ଦ୍‌ଦାତାଙ୍କି,

ଥିବେରା କ୍ଷେତ୍ରନାଦା ମନା ଲୋନ୍ଦାବୁ.

1962



\*\*\*

პონტოს ნაპირზე ბინადარო:

ახვიცს<sup>1</sup>,

კარჯასს<sup>2</sup> და

მელანხოლს<sup>3</sup>,

სურს დაგიწყებამ ხელი რომ დარიოს

და ამდგრევს ტიონოსს<sup>4</sup>,

და ქორსოს<sup>5</sup>

და გიპოსს<sup>6</sup>,

ასპერს<sup>7</sup> და არიოსს<sup>8</sup>.

1964

---

1,2,3 – კოლხური (ქართველური) ტომები.

4 – ტიონოსი – მოქვისწყელი

5 – ქორსოსი – ხობისწყალი

6 – გიპოსი – ცხენისწყალი

7 – ასპერი – ჭოროხი

8 – არიოსი – ციფი

\*\*\*

ვარსკვლავებით მოკირწყლულ,  
ვითარც გამთენის ცას,  
მოვარე ხელში გეპავა,  
სანამ არ გაგაშეშა  
პოეზიის წელკავმა.

1969



\*\*\*

„ბედისწერის დაფიდან“

გესმის შორი ძახილი –

სხვა ცისა და

სხვა მუზის.

„ნაბოლარას<sup>1</sup>“ ვიღაც გხმობს,

ვით „სიზმარი თამუზის<sup>2</sup>“.

1969

---

1 – „ნაბოლარა“ – ვაჟა ეგრისელი მეცხრე შვილია.

2 – „თამუზის სიზმარი“ – (ძველი შუამდინარული პოეზია)



\*\*\*

ღელავს პონტო...

და წარსულის,  
ცის ულურჯეს მორევს  
ირთავს  
და მე კოლხურ ვისმენ ყივილს,  
სადღაც პრეისტორიის –  
ფიქრმიუწვდენ სიშორიდან.

1978



\*\*\*

ციდან ჩამოფრენილი  
სული ცისკენ იურვის,  
ცაა მისი სამშობლო.  
ელის მარადიული  
ყოფნა –  
არ საამსოფლო.

2002



## 1991 – 1992

ძმა ძმის სისხლს დვრის უღმერთოდ,  
ბრუნავს ცოდვის მორევი  
და ცა ირევს ფერს ლილის.  
ქართვლს გაუწყრა ორივე –  
ინანაც<sup>1</sup> და  
ენლილიც<sup>2</sup>.

1992

1 – ინანა – შუმერელთა ქალღმერთი  
2 – ენლილი – (ქართველთა შორეული წინაპრების)  
შუმერთა ეროვნული ერთიანობის უზენაესი დეთავება



\*\*\*

ვარსკვლავებით სხეული,  
ცივ ნიავს არ იკარებ,  
რადგან დედამიწაზე,  
უცხო პლანეტელივით —  
ჩუმად ჩამოიპარე.

1966



\*\*\*

ეს მეტეორი კი არადა,  
ცვივა და ცვივა  
ცეცხლოვანი მზის ლოდები,  
რომლებიც არყევენ ცას გოდებით,  
მე კი ვზივარ და...  
კოსმოსში ბინადარ  
წინაპარ კოლხების –  
დაბრუნებას –  
დღე-დღეზე ველოდები.

2014



\*\*\*

ათასწლეულთა დელგმამ,  
არა მგონია ჩუმად  
რომ აუაროს გვერდი:  
მიქელანჯელოს,  
და ვინჩე,  
ალიგიერს და  
გერდის.

1969



\*\*\*

ერთი შავი ღრუბელი  
სადღაც მიეხებება,  
ვით საწყალი დევრიში<sup>1</sup>.  
მოგარე  
ზეცის საშოა,  
საიდანაც მე ვიშვი.

1960

1 – დევრიში – (სპარს.) აღმოსავლურ ქავნებში  
მოხებიალე მუსლიმანი ბერი.



\*\*\*

ნათლით შემოსილი მთებით,  
ცისკენ რომ მიიწევს ლოცვად  
და არ ეკარება რული:  
მიწაა —  
სამყაროს ხორცი,  
ცაა — სამყაროს სული.

1971



\*\*\*

ვარსკვლავების ბილიკებით –  
ციდან ჩუმად ჩამოსული  
წელი არის ასჯერ ასი:  
– ჭრიალს ვისმენ მთვარის ურმის...  
სიტყვის ლოდს ვთლიო...  
ლექსს ვამსგავსებ  
ქანდაკებას ჰენრი მურის.

1969



\*\*\*

შოორეულ წარსულში დათარეშობს –

ათასწლეულების ურდო:

გრაალის ტაძრებს ანგრევს

და კვლავ აშენებს.

კოსმიური სსოფნა შენში ბუდობს,

პლანეტებზე ფიქრი

არ გასვენებს...

2001



\*\*\*

დედამიწის ჭურჭელში –  
ვხედავ, ვედარ ეტევი  
და ცაც  
გეცოტავება.  
მიტომ სფეროების და  
პლანეტების უღრანში  
მარტო დაეხეტები  
და დროში გზაარეველს –  
დაგეძებს უკვდავება.

1993



\*\*\*

ცის გონს შემორჩენილი,  
წარსულის უდრანიდან –  
მოხვალ ხელის ფათურით.  
მაგრამ ვეღარ გამოგაქვს  
მხრები –  
გოლიათური.

2001



\*\*\*

სხვას არა!

იმ ერთს ძალუბს,  
სამყაროს ხსოვნით რომ ნაღმავს,  
ციდან კოსმიური კარნახით, —  
მდინარეს ააყოლოს აღმა  
ორაგული და  
კალმახი.

1972



\*\*\*

**6.ბ-ბ**

განა არის იოლი,  
უკვდავ,  
უცხო სახელებს,  
რომ აცნობ „აქაურებს“:  
ბიქსელს,  
ლენცს და ბიოლის,  
კესტნერსა და ქაუერს.

2014



\*\*\*

ღამის ცის შორეულ წარსულში,

სად ყოფნა

არ ყოფნას ერთვის,

რაღაც ჩანს, გითარცა სიფარი\*.

მთიები –

გზავნილებია ღმერთის,

არსთაგან ჯერ გაუშიფრავი.

1987

\* სიფარი – სამყაროს უძველესი ქალაქი



\*\*\*

(ვარიანტი)

ყოფნად მოსულს

რომ არყოფნამ,

ხელი არასოდეს გახლოს,

მოვარესთან და მზესთან ახლოს,

ვარსკვლავებით დასახლებულ

მეცამეტე ცაში სახლობ.

1999



## სეზანი და მარკასი

ნავლებს მთვარის ემბაზში

ყალამს –

მადლი სდის

უფლის

და მზის ფერებს აკვესებს:

შაგალი და დიუფი,

სეზანი და მარკასი.

1981



## პოსმიური ელვა

ვარსკვლავების იქიდან –

ჩუმად გამოპარული,

შენ წიგნებს რომ ებურვის,

ღამე არა,

წარსულის –

კოსმიური ელვაა,

სტრიქონსა და სტრიქონს შუა –

ცხცხლად ჩაბუდებული.

2011



## საქართველოს ისტორია

მშობელ ქვეყნის სიყვარული  
რომ არასდროს იკურნება, —  
ის სნება და  
ის სენია.  
და სიდიდით მზის ტოლია!  
ხელისგულზე მისვენია  
საქართველოს ისტორია.

1962



## აგშილებს და აფსილებს

ისე,

როგორც მუმლი მუხას,  
მტერი მუდამ ეხვეოდა –  
ოქრო-ვერცხლით ავსილებს:  
მისიმიელთ,  
ლაზებს,  
ჭანებს,  
აფშილებს და აფსილებს.

1971



## თბილისი – 1992

მოულოდნელად გაიდეს  
ლაწანი მთათა კარებმა.  
ეს არაგვია,  
რომელსაც,  
ვითარცა სამას არაგველს,  
ქართველთა "მეფის" საშველად  
თბილისს  
რომ მიეჩქარება...

1992



## ბრიფონი

აიეტის კოლხეთში,  
არსაიდან მოსული,  
ჟამთა მდვრიე დინებას,  
ალბათ კვლავ მოგიფონებს –  
ჩამომჯდარი –  
ზღვისკარად,  
შენი ლექსის გრიფონი\*.

1998

\*გრიფონი – მითიური არსება ლომის ტანით, არწივის თავით  
და ფრთებით.



## ამაოვაის ბაზარი

მღვრიე წარსულიდან  
 ცეცხლს რომ გვაფრქვევს,  
 არაბი,  
 თურქი და ხაზარია.  
 და საიდანდაც ხმა რომ ისმის –  
 შიშისმგვრელი, სულ სხვა ზარია.  
 ცხოვრება ესე –  
 თეკვრეის  
 ამაოთა "ამაოების ბაზარია".

1967



## არჩილ მეზის ტროპარი

ათასწლეულების მერე,  
ზოგთა გარჯა მიინავლა,  
შენ კი მეფე  
                        მეფედ დარჩი!  
რადგან ქართველთ მეოხე ეყავ,  
ჩვენთვის სამგზის  
                        სანატრელო –  
მეფე არჩილ\*.

1962

\*არჩილ სტეფანოზის ძე (VIII b.)



## ଡାରଣା କବିତା ପଦ୍ମନାଭ

ଅଧାମିସ ମିଳ ନାହିଁରି,  
ପ୍ରକଳାପ ମହିମାର୍ଗାଲି,  
ପ୍ରକଳାପ ମହିମାରି,  
ଶାଦାଜୀରି ଶାଦ ମିଳିଥାର,  
ଶୁଭିଲୋକାଳିର ଶୁଭାବାଳି.  
"ରାସ ମିଯୁରିବ,  
ରାମ ମିଯୁରିବ,  
ମହିମାର ମହିମାର...  
ଶେବ କି – ଦିନାଶି".

1963



აქეთ – ვოთი,

იქით – ვათი

ეგვიპტე კი უდაბნოა,

და კოლხეთი – ოაზისი.

მთვარეს მოსავს უფლის კვართი.

იქ – ნიღოსი,

აქ – ფაზისი,

აქეთ – ფოთი,

იქით – ფათი\*.

1981

\*ფათი – ქალაქი კუნძული კრეტაზე (საბერძნეთი)



## ନେ – ଅର୍ପଣା

ନିଶ୍ଚିଲୋ ମର୍ମସାଗ୍ରେ ଫାର୍ମ ଓ ମିଳାର୍କ,  
ସାଇଫାନ୍‌ଡାଇ ପିଲାଇ ଯିଗିଲ୍‌  
ରମ୍ ସାମରତକ୍‌ଜ୍ ଏବନ୍‌ଦା,  
ଘର୍‌ମଧ୍ୟେରେ ଫର୍ମ ହେ –  
ଫେର୍‌ଗର୍‌ବର୍ଦ୍ଧିଲ୍‌,  
ଓ ଲାମା ଜୀ – ହେ – ଫର୍ମଦିଲ୍‌.

1976



## შაგშეთ – ჰანეთ – ერზშეთი

ვეღარ გავუძელიოთ დელგმას –

ოსმალთ – შუბის,

სპარსთ – მოისრის!

დავიწყებას შევუშენდიოთ!!!

წარსულიდან –

ხმა მოისმის –

შავშეთ –

ჭანეთ –

ერუშეთის.

1967



\*\*\*

ვარსკვლავებთან თამაშით,  
მზე წყვდიადში ერთობა...  
ბრწყინავს მთვარის  
ფერდობი.

ბედს,  
მთლად ნუ მიენდობი  
და არცა უბედობას!


2003



## გოლგოთი თვით გიგანტი

ჰელიოსის ხსენებაზე,  
ათასწლეულები გამირბიან,  
რადგან მისი შვილი ვარ და...  
დედის რძე მექუთვნის.  
კოლხეთი თვით ბიბლიაა  
და... ბიბლიის დედაა –  
"ეფუთი".

1971



\*\*\*

ქარითა და ქარიშხალით  
 მთვრალი ზღვა თავს  
 ლოდებს ახლის.  
 და ზეირთებმა გმინგა მორთეს:  
 თაყვანს მუდამ სცემდა ხალხი,  
 ღვინის არა,  
 ლექსის ლოთებს.

1969



\*\*\*

ელვა ცეცხლს ანთებს,  
მეხი კი  
ცის გრდემლზე სივრცეს აბრტყელებს.  
მთა —  
მუხლმოყრილი ლოცულობს...  
და მთვარე —  
შიშით მოცული,  
ღამის ტოტზე ზის ბარტყივით.

1963



\*\*\*

ტიგროსის და ევფრატის პირ,  
ათასწლეულების იქით –  
დაეძებდი ნაშიერებს –  
დიდი ეგროსის და ქართუს!  
უხარიათ, რომ გხედავენ  
ახე,  
მუდამ ხმალშემართულს.

2012



## პოეზია – მზე არის

უფლის ნაწყალობელი  
საჩუქარი ზენარის,  
ყოფნის სინარნარეა:  
პოეზია –  
მზე არის,  
და პროზა კი – მოვარეა.

2001



## 300 ნიკოლო მაკიაველის

მოკიაფე ქამთა გვირგვინს,  
დამის ფერებს კვლავ აწნავენ,  
მიტომ დღეებს აკლია მზე.  
და ეს გტანჯავს  
და გაწვალებს,  
ვით ნიკოლო მაკიაველის.

1977



\*\*\*

სიბრძნით და სიჯიუტით,  
ზოგი ბაძაგს დიდყურებას  
და ზოგი ცის –  
ახოს ხნავს.  
ვინ კი მაღლა იყურება,  
ოს სულ დაბლა დახოხავს.

2010



\*\*\*

„სუფთა სინდისი –  
 ბალიშია ჩვენი რჩეული“,  
 ვითარც ამბობდა.  
 ჰენრიკ იბსენი  
 იმან კი რა ქნას,  
 უსინდისობას  
 გაჩენის დღიდან რომ არს  
 ჩვეული  
 და მის ქონასაც ვეღარ იხსენებს.

1998



\*\*\*

გარსპელავივით ცად ბინადრობს

შენი ფიქრი და

გონება.

არც ნება გაქვს,

არც სურვილი,

რომ მაცხოვარს არ მონებდე

წმიდა ეფრემ ასურივით.

1967



\*\*\*

გახმება ენა,

